

სს სსგ იმერეთი

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

სარჩევი:

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება)
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სს სსგ იმერეთი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს სსგ იმერეთი (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა 1996 წლის 29 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის სააქციო საზოგადოება (სს). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ზესტაფონის რაიონი, იმერეთის ქ. #6.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის მფლობელები არიან:

1. ჩინჩალაძე რუბენ
2. ბოგვერაძე ელგუჯა
3. ახრახაძე ნუგზარი
4. ვარდია ზაირა
5. კუბლაშვილი გომერი
6. ხუსკივაძე თამარი
7. ვარდოსანიძე თეიმურაზი და სხვ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა, სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოები.

შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 30 ივნისის საგადასახადო მოთხოვნა #094-182-ის საფუძველზე საგადასახადო დავალიანების გამო გადამხდელის ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანია ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითებების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებით“. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის დასაწყისისათვის და დასასრულისათვის, 2018 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

2.2 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით.

მომსახურეობის გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: ამონაგების თანხის განსაზღვრა, ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში, შესაძლებელია მიწოდების, ხელშეკრულების შესრულების დადგენა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხელშეკრულების მთლიანი შესრულებისათვის დანახარჯების განსაზღვრა.

შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდგენიარად:

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან _____ 6498981

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან _____ 144782

შემოსავალი რეალიზაციიდან (ფიზიკური პირები)_____ 42559

სულ შემოსავალი რეალიზაციიდან_____6686322

2.3 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ხელფასები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისაგან.

თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გახარჯული მასალების ღირებულება _____ 3027692

ხელფასი _____ 1999522

კომუნალური ხარჯები_____ 80239

კომუნიკაციის ხარჯები_____ 8465

ექსპერტიზის ხარჯები_____ 12397

ქვემოიჯარადებები_____ 885768

მივლინებები_____ 11720

ბანკის მომსახურეობა_____ 74323

სხვა ხარჯები_____ 78866

ცვეთა და ამორტიზაცია_____ 887

საბანკო სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი _____ 37558

სულ ხარჯები: _____ 6217437

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

შემოსავალი რეალიზაციიდან		6686322
თვითღირებულება		(6217437)
მოგება დაბეგვრამდე		468885
ფინანსური შედეგი		468885

3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტი	330257	976011
სავაჭროდა სხვა მოთხოვნები	1391370	240798
მარაგები	581349	564998
სხვა აქტივები	529952	453566
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2649976	419379
არამატერიალური აქტივები	7981	8868
სულ აქტივები	5490885	2663620
ვალდებულებები და კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები		
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	400000	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1128924	1381145
სულ ვალდებულებები	1528924	1381145
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	911662	911662
გადაფასების რეზერვი	2595373	368251
გაუნაწილებელი მოგება	454926	2562
სულ კაპიტალი	3961961	1282475
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	5490885	2663620

3.1 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	6203935
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6140102)
საგადასახადო გადასახადები	(957945)
ბანკის მომსახურება	(74329)
მიწის გადასახადი	(18497)
ქონების გადასახადი	(9435)
სხვა ხარჯები	(11823)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	(1008196)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
სესხები	600000
სესხის ძირის გადახდა	(200000)
სესხის პროცენტის გადახდა	(37558)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	362442
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	976011
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	330257

3.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები მომსახურებიდან	1391370	230629
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	10169

სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	1391370	240798
---------------------------------	---------	--------

3.3 მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებით, მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, ყველა იმ ხარჯს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათ შეძენასთან.

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სულ მარაგები	581349	564998

3.4 სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დაუმთავრებელი წარმოება	451366	451366
ზედმეტად გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები	76386	0
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	2200	2200
სულ სხვა მიმდინარე აქტივები	529952	453566

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საბაზრო ღირებულებით. შეფასება განხორციელდა 2018 წლის 31 დეკემბრისათვის საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების კომისიის მიერ.

ჩვენი კომპანიის შემთხვევაში ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 419379 ლარს. 2018 წელში მოვახდინეთ

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასება საბაზრო ღირებულებით უძრავი და მოძრავი ქონების დამოუკიდებელი შემფასებლის ირაკლი გოცაძის (18001003406, სერთიფიკატი №A-0449 და №P-0238) მიერ, რის შემდეგაც კომპანიის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2649976 ლარს.

3.6 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებაზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ამორტიზაცია მომსახურების ვადების შესაბამისად.

3.8 მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ბანკის სესხი (საქართველოს ბანკი)	400000	0

3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები იურ. პირების მიმართ	144193	77626
გამოუმუშავებელი შემოსავალი (ავანსი)	844607	1001832
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	104777	115037
სხვა ვალდებულებები	35347	186650
სულ ვალდებულებები:	1128924	1381145

3.10 საგადასახადო ვალდებულებები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება ვალდებულება. ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. ამჟამად ვსარგებლობთ ახალი, ე.წ. „ესტონური“ მოდელის მიხედვით.

3.11 საწესდებო (სააქციო) კაპიტალი

კომპანიის საწესდებო (სააქციო) კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო (სააქციო) კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018 წელი	911662	368251	2562	1282475
გადაფასების რეზერვი		2227122		2227122
გაუნაწილებელი მოგება			452364	452364
31 დეკემბერი 2018 წელი	911662	2595373	454926	3961961

3.12 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია წლის ბოლოს ახდენს განვლილი საანგარიშო პერიოდის შეფასებას და იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მომავალი პერიოდების საქმიანობაში ყველა მიღებული გამოცდილებების გათვალისწინებით.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2019 წლის 10 სექტემბერს.

დირექტორი:

რ. ჩინჩალაძე

